

სივრცის მოდელები პოსტსაბჭოთა ქართულ ლიტერატურაში:
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებისა და სამხრეთული სპილოს მიხედვით

ანა ოთხმეზური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა კილანავა, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანნა ოთხმეზური

23.06.2021

აბსტრაქტი

საკვლევი საკითხი: მხატვრულ ტექსტში განსახოვნებული სივრცითი მოდელები მნიშვნელოვანი საკვლევი ობიექტებია კონკრეტული სოციო-კულტურული კონტექსტისა და საზოგადოების ცნობიერების შესასწავლად. წინამდებარე კვლევის ამოცანაა პოსტსაბჭოთა პერიოდის მხატვრულ ტექსტებში, აკა მორჩილაძის *ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებსა* (1995) და არჩილ ქიქოძის *სამხრეთულ სპილოში* (2016), სივრცის რეპრეზენტაციის ანალიზი პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემის შესწავლის მიზნით. **მეთოდოლოგია:** საანალიზოდ შერჩეულ მხატვრულ ტექსტებში სივრცით ლექსიკურ ერთეულთა მარკირების საკითხი გამოკვლეულია დიაგრამირების მეთოდით. ტექსტებში განსახოვნებული ყველა გეოგრაფიული და მენტალური სივრცე კლასიფიცირებულია ტიპურობისა და პერსონაჟთა დამოკიდებულებების მიხედვით; დადგენილია სივრცის რეპრეზენტაციის მოდელები მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების დონეზე. **თეორიული საფუძვლები:** ტექსტური მონაცემები გაანალიზებულია ალტერნატიული სამყაროების თეორიული კონცეპტისა და ალწერა-პერსპექტივის ნარატოლოგიური კატეგორიების მიხედვით. **შედეგები და დასკვნა:** საანალიზოდ შერჩეულ მხატვრულ ტექსტებში სივრცე (გეოგრაფიული, ფიზიკური თუ მენტალური) ძირითადად რეპრეზენტირებულია ალწერისა და ეპითეტის დართვის საშუალებით; ამასთან, გამოკვეთილ ტენდენციას წარმოადგენს კონტრასტის მხატვრული ხერხის გამოყენება; საკვლევად შერჩეულ მხატვრულ ტექსტებში განსახოვნებულ სივრცით ერთეულებსა და იმ სოციო-კულტურულ გარემოს შორის, რომელშიც პროტაგონისტები ცხოვრობენ, მჭიდრო კავშირი არსებობს; სხვადასხვა სივრცისადმი პერსონაჟთა დამოკიდებულების კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი სივრცითი მარკერები ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა, ხოლო ყველა უცხოური სივრცითი ლექსიკური ერთეული განვითარებასა და კეთილდღეობასთან ასოცირდება; შესაბამისად, პერსონაჟები გამუდმებით ცდილობენ, გაიქცნენ ადგილობრივი სივრციდან და უცხოეთს შეაფარონ თავი. **კვლევის მნიშვნელობა:** სივრცის ფენომენის კვლევა საშუალებას იძლევა,

შევისწავლოთ, თუ რამდენად დიდია სოციო-კულტურული და პოლიტიკური ატმოსფეროს როლი საზოგადოებისა და კონკრეტული ინდივიდების ღირებულებათა სისტემის, მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ვინაიდან სივრცის ფენომენი ხელოვნების სხვადასხვა მედიაში მკვლევრების დაინტერესების მნიშვნელოვანი ობიექტია და რაც მთავარია, იძლევა ღირებულ ტექსტურ მონაცემებს კონკრეტული საზოგადოების ცნობიერების შესახებ, მიზანშეწონილია, ქართველოლოგიურ მეცნიერებებში მეტად შეიქმნას ფიზიკური თუ მენტალური სივრცეების რეპრეზენტაციასთან დაკავშირებული აკადემიური ნაშრომები. განსაკუთრებით – საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეალობის კვლევათა მიმართულებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სივრცის მოდელები, *ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები*, *სამხრეთული სპილო*, დიაგრამირება, პოსტსაბჭოთა ქართველის ცნობიერება.

Abstract

Research topic: Spatial models in literary texts represent a significant object of research in terms of the study of socio-cultural contexts and collective consciousness. The objective of this study is to analyse spatial representation in post-Soviet literary texts, *Aka Morchiladze's Dogs of Paliashvili Street (1995)* and *Archil Kikodze's Southern Elephant (2016)*, in order to examine the value system of the post-Soviet Georgian Public. **Methodology:** The issue of marking of lexical units in the aforementioned literary texts is studied via the diagram method. All geographic and mental spaces depicted in the texts are classified in accordance with their typology and the characters' attitudes towards them. Spatial representation modes are outlined on the level of literary-representative devices. **Theoretical foundations:** Text-related data is analysed in accordance with the Possible Worlds theoretical concept and description-perspective narrational categories. **Results and Conclusion:** In the literary texts chosen for analysis, space (geographical, physical, mental) is mainly represented via the means of description and application of epithets; there is a tight link between spatial units depicted in the literary texts chosen for analysis and the socio-cultural environment, within which live the protagonists; the study of characters' attitudes towards various spaces illustrates that local spatial markers mainly bear negative connotations, with all foreign spatial lexical units associated with development and prosperity; therefore, characters constantly attempt to flee the local space and seek exile abroad. **Significance of the Study:** The study of spatial phenomenon provides us with the opportunity to examine the weight of the role that the socio-cultural and political atmosphere plays in terms of the formation of value systems, or *weltanschauung*, of societies, as well as particular individuals. *Ergo*, since the spatial phenomenon is a significant object of interest for researchers across various media of arts, which, perhaps, most importantly provides us with valuable text-related data regarding the consciousness of particular societies, it would be rather expedient to produce academic papers related to representations of physical and mental spaces tailored to the Georgian reality.

Keywords: Spatial models, *Dogs of Paliashvili Street*, *Southern Elephant*, diagramming, post-Soviet Georgian Consciousness.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, ცირა კილანავას, გაწეული შრომისა და ერთგული თანამშრომლობის გამო.

მადლობას ვუხდით ჩემს თანაკურსელებსა და გულითად მეგობრებს: გვანცა ცუცქერიძეს, ნანა აბულაძესა და ნიკოლოზ გედევანიშვილს თანადგომისა და გამხნეების გამო.